N 8/26
13/07/2020

8-26-4-202007131521

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველო კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 09 ივნისის N49/2014 და 2017 წლის 17 მაისის 54/2017 დადგენილების, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 27 ივნისის სხდომაზე N6 ოქმით დამტკიცებული „ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმებისა და ვადების განსაზღვრის წესი“-ის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის განმხილველი კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   1) მანანა მელიქიშვილი - ფაკულტეტის ხარისხსი მართვის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
   2) ხათუნა მარწყვიშვილი - ფაკულტეტის დეკანის მოადგილე,
   3) ქეთევან ჭკუასელი - განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი
   4) სოფიო დოლიძე -ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

5) თამარ ხიდაშელი - ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

2. კომისია უფლებამოსილია ბრძანების გამოცემიდან 2 წლის განმავლობაში.
3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის შესაბამის სამსახურს.
4. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის კანცელარიას.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თამარ გაგოშიძე

დეკანი
ადმინისტრაცია